ცნობა

პაატა ზაქარეიშვილი დაიბადა 1958 წლის 4 აგვისტოს, ქ. თბილისში.

1984 წელს დაამთავრა ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1993 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემია.

1992 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის რელიგიურ უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსად.

1992-1997 წლებში იყო ქართულ-აფხაზურ ომში სამხედრო ტყვეთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კონფლიქტურ ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი.

1995 წელს ასრულებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრჩევლის მოვალეობას დევნილთა და ლტოლვილთა საკითხებზე.

1995-1997 წლებში იყო „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ (ნიუ-იორკი) იძულებით მიგრაციის პროექტის კოორდინატორი.

1995-2000 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის აპარატის უფროსი.

1995-2012 წლებში იყო კალიფორნიის უნივერსიტეტის (ირვაინი) ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის პროექტის ქართული მხარის კოორდინატორი.

1998-2012 წლებში იყო „შერიგების რესურსების“ (ლონდონი) ქართულ-აფხაზური პროექტების კოორდინატორი ქართული მხრიდან და „შლაინინგის პროცესის“ ქართული მხარის კოორდინატორი.

2000-2001 წლებში ასრულებდა საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას.

2000 წელს გახდა „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

2002-2006 წლებში იყო თბილისის საკრებულოს წევრი.

2009-2012 წლებში ხელმძღვანელობდა ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტს (ISNC).

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად რეინტეგრაციის საკითხებში, ხოლო 2014 წლის 1 იანვარს საქართველოს სახელმწიფო მინისტრად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი